

იუსტინე აბულაძე – Iustine Abuladze (1874-1962)

ქართველი ფილოლოგი, ირანისტი, რუსთველოლოგი, ტექსტოლოგი და ლექსიკოგრაფი იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე დაიბადა 1874 წლის 5 აპრილს (17 აპრილი) სოფ. როკითში (ახლანდელი ბაღდათის რაიონი)

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე (ქართული-სომხური-სპარსული ფილოლოგიის განხრით), რომელიც 1900 წელს დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით. აღმოსავლეთის ფონდების შესასწავლად 1901-1902 წლებში იმოგზაურა შუა აზიასა (ტაშკენტი, ბუხარა, სამარყანდი) და დასავლეთ ევროპაში (ვენა, ბერლინი, პარიზი), სადაც გაეცნო სპარსული ხელნაწერების კოლექციებს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად. იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის წევრი, ამავე საზოგადოების მუზეუმის გამგე. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე განათლების ამ დიდი კერის სამსახურს შესწირა თავი. იყო საქართველოში სპარსული ენის მეცნიერული სწავლების ფუძემდებელი. 1918 წლიდან თსუ-ში კითხულობდა სპარსული ენისა და ლიტერატურის კურსს. მანვე შეადგინა პირველი სპარსული ენის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (1936). თბილისის უნივერსიტეტში დააარსა და სათავეში ჩაუდგა სპარსული ფილოლოგიის კათედრას. აღზარდა ქართველ ირანისტა მთელი თაობა.

გამორჩეულად უყვარდა და საგანგებოდ იკვლევდა მსოფლიო მწერლობის სამ შედეგს: “ვეფხისტყაოსანს”, „შაჰნამეს“ და “ვისრამიანს”. მონაწილეობა მიიღო სამივე ძეგლის ტექსტის დადგენაში, შეადგინა მათი ვრცელი ლექსიკონი, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას. გამოსცა «“შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის” ქართული ვერსიები» I ტ. (1916), მონაწილეობდა II ტომის მომზადებაში (1934). მანვე დაურთო გამოცემას ლექსიკონი. წერილების სერია მიუძღვნა “ვისრამიანის” ქართულ და სპარსულ ტექსტებს, მონაწილეობდა ამ ძეგლის გამოცემაში (1938), დაურთო ლექსიკონი. მან პირველმა თარგმნა ომარ ხაიამი (1924), დაადგინა მთელი რიგი გეოგრაფიული და საკუთარი სახელების ეტიმოლოგია.

იუსტინე აბულაძემ ორჯერ გამოსცა “ვეფხისტყაოსანი” (1914, 1926) ვრცელი შესავლითა და ლექსიკონით. ეს ლექსიკონი შემდეგ პოემის პირველ საიუბილეო გამოცემას (1937) დაერთო. ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების ეტიმოლოგიის კვლევაში ყველაზე დიდი წვლილი აქვს პროფ. იუსტინე აბულაძეს. ეს საკითხები მან გაარკვია თავის შრომებში: “ვეფხისტყაოსნის” ამბის სადაურობისა და მისი დამწერის გარშემო”, “ვეფხისტყაოსნის ორი უმთავრესი გმირის სახელი “ტარიელ” და “ავთანდილ” ეტიმოლოგიისათვის, “ავთანდილის ეტიმოლოგიისათვის” (იხ. ი. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბილისი, 1967). ი. აბულაძე ხსენებულ შრომებში შეეხო პოემის სხვა გმირების სახელებსაც: ნესტანდარეჯანის, ფარსადანის, როსტევანის, შერმადინის, ნურადინ ფრიდონის, ფატმანისას. მან დაადგინა არაბულ-სპარსული ეტიმოლოგიური მნიშვნელობანი ზოგიერთი სახელებისა და ამჯერად ჩვენთვის ამოსავალი წერტილია მისეული კვლევა.

გარდაიცვალა 1962 წლის 1 ივნისს თბილისში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტერატურა:

კობიძე, დავით, იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, «თსუ შრომები», 1964, ტ. 1 108;

გვახარია ალექსანდრე. ქსე, ტ. 1, გვ. 45, თბ., 1975

ზვიად გამსახურდია. “ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება”